№ 33

შაბათი, 13 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 33

შაბათი, 13 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

Y. YERMOREL

constructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა „ეკლერ“ და გოგირდის შესაყრელი მანქანა „ტორპილი“. (10—7)

შაბიამანი
**macclesfield**

ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელის რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდლონოვი. ტფილისში.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ნ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფნი.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ნ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

ექიმი

დიმ. კონსტანტინეს ძე ერისთავი

(ოქრომჭედლების ქ., ს. თულაევისა № 40)

იღებს ავადმყოფებს—სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი — დილის 10-დგან—1 საათამდის. (7—20—2)

**მთავრობის განკარგულებანი**

—

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელე საზონტი კობახიძე—ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის სამმართველოს სიტყვიერ თარჯიმნის თანამდებობის აღმასრულებლად; ბათუმის ოლქის ზემო აჭარის ნაწილის სოფ. ბეგლეთის მცხოვრებელი ბეხჩეთ-ეფენდი-სულეიმან-ეფენდი-ზადე-შერვაშიძე—ბათუმისა და ართვინის ოლქების სახალხო სასამართლოს ყადით.

გამწესებულ იქმნა ვიქტორ შურგულია—კაგიზმანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნენ: ახალქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარისხის მოხელე ნიკოლოზ ქუთათელაძე—ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ჯელალ-ოღლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე გიორგი ისაშვილი—კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნენ: თავისისავე თხოვნით, კაგიზმანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსანდრე სულამანიძე, ბათუმისა და ართვინის ოლქების სახალხო სასამართლოს ყადი - ჰაჯი- მაჰმედ-ეფენდი - კიმპილ-ოღლი-გვერდაძე.

## ახალი ამბავი

—

*** უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე გუშინ წინ, 11 თებერვალს, ტფილისიდგან პეტერბურგში წავიდა.

*** კავკასიის მთავარ მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ ნება დართო პეტრე-პავლეს კათოლიკეთა ეკკლესიასთან არსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას გამართოს 2 მარტს კონცერტი ღარიბთა სასარგებლოდ.

*** გუშინ-წინ, 11 თებერვალს, გამართულ ქ-ნ ეფ. მესხის ბენეფისის ანგარიშს უადგილობის გამო დღეს ვერა ვბეჭდავთ.

*** გუშინ წინ, 11 თებერვალს, კათოლიკეთა წმ. მიძინების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი საფრანგეთის ახლად გარდაცვალებულის პრეზიდენტის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის იყვნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ბოსსერონ დ'ანგლად, გენერლობა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნიის გამგე კ. კ. სტეფანოვიჩი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი, ტფილისის კომენდანტი გენერალ მაიორი ი. ნ. რეიტერი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი, ელჩები ოსმალეთისა ესად-ბეი, გერმანიისა—გოპმანი, ავსტრიისა—ფონ უგრონი, სპარსეთისა, ტფილისის პოლიცმეისტერი და მრავალი სხვანი. წირვის დროს გალობდნენ ოპერის არტისტები—ქ-ნი ოლგინა, ბ-ნნი დელლა-ტორე, კომიონსკი და ბორისენკო. ამ დღეს ფრანგთა ახალშენმა სამგლოვიარო ფერი მიიღო, მაღაზიები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილი იყო, სახლებს ამშვენებდა საფრანგეთის დროშები შავის ძაძით შემოსილი.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა 11 თებერვალს წარუდგინა ტფილისის გუბერნიის გამგეს ქალაქის შუამდგომლობა ტფილისში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. ქალაქი ამ პროგიმნაზიას წელიწადში 6 ათას მანეთს შეჰპირდა.

*** კავკასიის წყალთა ინსპექტორმა აცნობა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, რომ, სოფლ. ნიგოითსა და ლანჩხუთის შუამდგომლობის გამო, მიწად-მოქმედების და გზათა სამინისტროების კავკასიის მთავარ მართებელთან მოლაპარაკების შემდეგ შემდგარ იქმნა განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიას მინდობილი აქვს იმ ზომების გამორკვევა და შემუშავება, რომელნიც საჭიროა მიღებულ იქმნას მდ. რიონის გასამაგრებლად და წყალდიდობისაგან მცხოვრებელთა მამულების უზრუნველ-საყოფელად. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. ნიგოითსა და ლანჩხუთის შუამდგომლობაც ამ კომისიას გარდაეცემა.

*** გუშინ წინ, 11 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ

## ფელეტონი

—

**უცხოთა შორის**

ჩინეთი იღვიძებს.—წერილი პეკინიდგან.—ბოგდოხანის განკარგულებანი ჩინეთის გაზეთების შესახებ.—ახალის კანონმდებლობის პროექტი.—ჯილდო ახალის გამოგონებისა და ქველმოქმედებისათვის.—„სამხრეთ ჩინეთის საყოველთაო სკოლა“.—პეკინის უნივერსიტეტი.—ახალი სკოლები ჩინეთში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩინეთის მთავრობა ახალს გზას დაადგა. სცდილობდა და სცდილობს სახელმწიფოს წეს-რიგის განკარგებასა და გაუმჯობესებას. გასულ წელს მთელის ექვსის თვის განმავლობაში ისე დღე არ გასულა, რომ „პეკინის მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილი არა ყოფილიყოს ბოგდოხანის ახალი ბრძანება სახელმწიფოს მმართვის რომელისამე ახალის წეს-რიგის შესახებ.

ერთს რუსულს ჟურნალში დაბეჭდილია ბ-ნ პოპოვის მიერ გამოგზავნილი წერილი პეკინიდგან. ეს წერილი შეეხება ჩინეთის ეხლანდელს ვითარებას. წერილში ნათლად არის აწერილი, რომ ჩინეთი ამ ბოლოს დროს გამოღვიძების გზას დაადგა. სჩანს, ამ სახელმწიფოს მმართველნიც მიხვდნენ, რომ საჭიროა ერი სწავლა-განათლების გზას დაადგეს, თუ რომ არ უნდა, რომ იმისი სახელი სრულიად აღმოიფხვრას დედა-მიწის ზურგზედ. თუმცა ბევრს საეჭვოდ მიაჩნია ჩინეთის გამოღვიძება, მაგრამ, როგორც ბ-ნი პოპოვი ამტკიცებს, ეს არც თუ შეუძლებელი არის. ორმოცის წლის წინად ვერავინ იფიქრებდა, რომ იაპონია არა თუ გამოიღვიძებდა, არამედ სულ ცოტა ხნის განმავლობაში განათლებულ სახელმწიფოთა სიაში ჩაეწერებოდა და ისე გაიმაგრებდა ზურგს, რომ ჩინეთთან შებმისაც არ შეეშინდებოდა. ვინ იცის, თუმცა საეჭვოა, მაგრამ იქმნება ჩინეთიც დაადგეს იაპონიის გზას. ასე თუ ისე, პაპოვის წერილი მაინც საყურადღებოდ მიგვაჩნია და ვეცდებით ამ წერილის შინაარსი გადავცეთ მკითხველებს. ჩვენ არ მოვიხსენიებთ მხოლოდ ჩინეთის ახალ სკოლების წესდებას, რომელიც ჟურნალს დაუბეჭდავს და რომლის შესახებ თვით პაპოვი სწერს, ეს წესდება მხოლოდ სპეციალისტების საყურადღებო არისო.

უპირველეს ყოვლისა ბოგდოხანმა დიდი ყურადღება მიაქცია გაზეთებს, რადგანაც თვით იმპერატორი და სახელმწიფო მოხელენი დარწმუნდნენ, რომ გაზეთს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ერის ცხოვრებაშიო. 1898 წლის 14 ივლისს „პეკინის მოამბეში“ დაიბეჭდა შემდეგი საყურადღებო ბძანება ბოგდოხანისა:

„ვინაიდგან გაზეთი წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც შესაძლებელია გამოითქვას ყოველივე მართალი ცნობა შესახებ სახელმწიფოს ვითარებისა და ამავე გაზეთის შემწეობით შეუძლიან მთავრობას გაიგოს დაწვრილებით ხალხის საჭიროებანი, ვბძანებთ შანჰაის გაზეთი „ში-უ-ბაო“ აღიარებულ იქმნას მთავრობის გაზეთად და ამ გაზეთის მთავარ რედაქტორად ვნიშნავთ კან იუ-ვეიეს.

ამასთანავე ყველა გუბერნატორებს და გენერალ-გუბერნატორებს ებძანათ, თითო ნომერი ყოველსავე იმ გაზეთისა, რომელიც-კი სადმე იბეჭდება, გაეგზავნოს მთავარ პროკურორსა და უნივერსიტეტს, ხოლო აქედგან გაზეთის ის ნომერი, რომელშიაც საყურადღებო წერილი იქნება დაბეჭდილი შინაურ ანუ გარეშე პოლიტიკის შესახებ, მიერთვას ხოლმე იმპერატორს. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის გახლავთ, რომ ბოგდოხანმა ბძანა, სრული თავისუფლება მიგვეცა გაზეთებისათვის უშიშრად ყოველივე სიმართლე დაბეჭდონ.

რაკი ასეთი განკარგულება მოახდინა მთავრობამ გაზეთების შესახებ, ეხლა საჭირო იყო მიექცია თვისი ყურადღება კანონმდებლობისთვისაც, რომელიც ძლიერ აწეწილ-დაწეწილია რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მრავალ ახალ კანონების გამოცემით. ჩინეთის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, სამინისტროდგან დაწყებული ვიდრე მაზრის სამმართველომდე, ნამდვილი უფლება ხელთ იგდეს იმ გამოცდილ მოხელეებმა, რომლებიც ისე ატრიალებდნენ კანონს, როგორც მოისურვებდნენ. უფროსებმა იცოდნენ ესა, კარგად იცოდნენ, რომ გამოცდილი მოხელე სინიდისიერად არ იქცევა, ატყუებს მთავრობასაცა და ხალხსაც, მაგრამ ვერაფერი მოუხერხებინათ, რადგანაც თითონ ეშინოდათ იმიტომ, რომ თითონ გამოუცდელნი იყვნენ იმ საქმეში, რომელიც ებარათ. ხოლო ეს გამოუცდელობა იმით აიხსნება, რომ უფროსებს მთავრობა ხშირად უცვლიდა თანამდებობას. დღევანდელი ამხანაგი სასახლის მინისტრისა ხვალ სამხედრო მინისტრის თანაშემწედ ინიშნებოდა. ამ გვარად დიდი ხანია, რაც ჩინეთში საჭირო იყო გადათვალიერება კანონებისა და ახალი კანონმდებლობა. პროექტი ამ ახალ კანონმდებლობისა შეადგინა და წარუდგინა მთავრობას იმავე გაზეთის „გოვენ-ბაოს“ მთავარ რედაქტორმა კან იუ-ვეიუმ. პროექტში მოხსენებული იყო, რომ აუცილებლად საჭიროა დაარსდეს საკანონმდებლო კომიტეტიო. პროექტი არ მოეწონათ ჩინეთის უფროს მოხელეებს. გარეშე საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც გადაეცა პროექტი განსახილველად, გადაჭრით განაცხადა, პროექტი გროშადაც არა ჰღირსო. მაშინ იმპერატორმა და იმპერატრიცამ პროექტი გადასცეს სახელმწიფო საბჭოს. მაგრამ არც საბჭომ მოიწონა. მაშინ მოთმინებიდგან გამოსულმა ბოგდოხანმა იგივე პროექტი ხელ-მეორედ გადასცა სახელმწიფო საბჭოს და დასძინა, პროექტი დაწვრილებით იქმნას განხილულიო.

ამბობენ, პროექტის ასეთი წინააღმდეგობა იმიტომ გაუწიეს უფროსმა მოხელეებმა, პროექტის ავტორი კარგის ზნეობის კაცად არ მიაჩნდათო და გარდა ამისა ამ ავტორს დიდი უსიამოვნება მოუვიდა ერთს მინისტრთან, რომელმაც იმპერატორს მოახსენა კან-იუ-ვეი უმზგავსი კაცია და ჩემს სახლში არც კი გავატარებო.

უმთავრესი საგანი ამ პროექტისა ის არის, რომ საჭიროა განხილულ

განიხილა საქმე უგანათლებულესის თავადის ნ. დ. მინგრელსკისა, რომელიც, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ედავება. სამოსამართლო პალატა განაჩენს ამ საქმის გამო 18 თებერვალს გამოაცხადებს.

*** „ახ. მიმ.“ა იუწყება, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე თანამდებობას თავს ანებებსო.

*** „ახ. მიმ.“-სავე სიტყვით, გუშინ წინ, 11 თებერვალს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნი, რომელიც ერთს დროს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ იყო. მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ ამატუნს ამ საზოგადოების ფულის გაფლანგვა ჰბრალდებოდა, რისთვისაც სასამართლომ ყოველივე უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გაგზავნა გარდაუწყვიტა.

*** როგორც გაზ. „კავ.“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დაამტკიცა ტფილისის გუბერნატორის მიერ შედგენილი სავალდებულო სასანიტარო დადგენილებანი ქ.ქ. ახალციხისა, ახალქალაქისა, თელავისა, სიღნაღისა და გორისათვის. სამინისტროს აზრით ამ დადგენილებაში ბევრი რამ უნდა იქმნას შეცვლილი და ბევრიც ჩამატებული.

*** გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაავალა კავკასიის გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს წარუდგინონ საბეითალო გამგეობას ცნობები იმის შესახებ, საკმაოა თუ არა ის ჯამაგირი, რომელიც საბეითალო ფერშლებს ეძლევათ, ხოლო თუ საკმაო არ არის, რამდენია საჭირო კიდევ რომ მოემატოს.

*** „კავ.“-ს სიტყვით, მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ტფილისის საბოტანიკო ბაღთან დაარსებულ იქმნას მუშათათვის პრაქტიკული კურსები ბაღოსნობისა. როგორც პროექტიდგან სჩანს, სწავლის ვადა $1^3/_4$ წელიწადი იქმნება. მოსწავლე-მუშებათ მიიღებენ იმათ, ვინც წერა-კითხვა იცის და ვინც 18 წელიწადზედ პატარა და 30 წელ. დიდი არ არის. მოსწავლე-მუშებს ჯამაგირი ექმნებათ 110—180 მანეთამდე და ამას გარდა ბაღში სადგომიც დაეთმობათ.

*** როგორც იგივე გაზეთი იუწყება, მიწად-მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სარწყავ არხების მოხელეები მთავრობამ დანიშნოს ხოლმე იმ შემთხვევაში, თუ ასეთ თანამდებობებზედ უარს განაცხადებენ არხის მონაწილენი.

*** როგორც გაზ. „კავ.“ იუწყება, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს შეიძინოს ყორღანოვის სახლი, სადაც ამ ჟამად რკინის გზის ექვს-კლასიანი სასწავლებელია მოთავსებული გამგეობის დადგენილება ამ სახლის შეძენის შესახებ უკვე გაგზავნილ იქმნა პეტერბურგში დასამტკიცებლად სახლი 100,000 მან. არის დაფასებული.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, ნატარიუსი ტურკოვსკი თანახმაა დაუთმოს ქალაქის თვით-მართველობაში მოსამსახურეთ სახლების ასაშენებლად მიწის ნაჭერი, რომელიც მდებარეობს ვერაზედ, ყაზარმების ახლოს. ფული მოსამსახურეთ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გარდაიხადონ.

## წერილი ქუთაისიდგან

10 თებერვალი

ორშაბათს, 8 ამა თებერვალს, დანიშნული იყო კრება საბჭოსი, რომელსაც უნდა მოესმინა ორი საყურადღებო წინადადება, ორივე საქალაქო რკინის გზის გაკეთების თაობაზედ, ორის კონცესსიონერისა, ინჟინერ მიხაილოვისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ რომბისა. ორივ კონცესსიონერი ამ დღისთვის ქუთაისში ჩამოსულიყო. პირველი იმიტომ, რომ წარსულის წლის 16 ნოემბერს საბჭოს მიერ გარდაწყვეტილი საქმე დაემთავრებინა თანხმად ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის ნაჩვენებ ფორმისა; ხოლო მეორე იმიტომ, რომ ერთიან ჩაეშალა იგი გარდაწყვეტილება საბჭოსი და ხელიდამ გამოეგლიჯნა პირველის მიერ დაწყებული, გამოკვლეული და გამოანგარიშებული საქმე.

კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი ხმოსანთა. საბჭომ ჯერ მოისმინა წარსულის კრების ოქმი. ოქმმა გამოიწვია ხანგრძლივი ბაასი, რომელსაც ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. შემდეგ გამწარებულ კამათისა, ოქმი როგორც იყო დაამტკიცა კრებამ. ჩამოვარდა სიჩუმე, მომასწავებელი უარესის დავიდარაბისა, რომელსაც ველოდებოდით ზემოხსენებულ კონცესსიონერთა შეპირდაპირებისაგან. სწორედ ამ მოლოდინის დროს მოფრინდა შიკრიკი და მოართვა ქალაქის მოურავს რაღაც ქაღალდი. იგი აღმოჩნდა „დამატებითი წინადადება“ ბ-ნ რომბისა, რომელსაც, უეჭველია, აქამომდე ვერ მოესწრო სავსებით გაეზიარებინა თავისი გულის წადილი. ამის დანახვაზედ ერთმა აქ დამსწრე ტფილისელმა გვითხრა, რომ ეგ მოუსწრებლობის ბრალი არ გახლავთო. ასეთი მოუსწრებლობა ბარე რვაჯერ გამოიჩინა ბ-ნმა რომბიმ ტფილისის საბჭოს წინაშე. ეგ ხერხია, რომლითაც „ჭკვიანი“ კონცესსიონერები ადვილად აბმენ მახეში გულუბრყვილო ქალაქებსაო. მოულოდნელობა უფრო ძლიერ იმოქმედებს ხოლმე კაცზედ და თანაც უკარგავს უნარს კრიტიკისას. ნამდვილი კონცესსიონერი უთუოდ ფსიხოლოგიც უნდა იყოს, რომ „ფოკუსე“ით თვალი აუხვიოს თავისს მსხვერპლს, თორემ უამისოდ ბევრს ვერას გამოჰრჩებაო. ბ-ნ რომბის რომ ერთის დღით მაინც წინ მოჰგონებოდა საჭიროება „დამატებითის წინადადებისა“, მაშინ, უეჭველია, მოპირისპირეც უფრო ადვილად მოემზადებოდა, გამგეობაც გულ-დასმით გაჰსინჯავდა მისს ღირსებასა და ნაკლს, უფრო სრულს აზრს შეადგენდა და ამ აზრს განუზიარებდა საბჭოს. ეხლა-კი, აბა უყურეთ, ‑ა ეფექტს მოახდენს „დამატებითი წინადადება“. უთუოდ მოხერხებული რამ უნდა იყოს მაგ ქაღალდში, თორემ აი ჰნახავთო.

საქმის ვითარებიდამ აღმოჩნდა შემდეგი. პროექტი ხელშეკრულობისა, რომელიც 16 ნოემბერს 1898 წ. დაამტკიცა საბჭომ, ქალაქის გამგეობას, კანონის ძალით, უნდა წარედგინა ბ-ნ გუბერნატორისთვის განსაკუთრებულის თხოვნით, რათა იგი დაჰხმარებოდა მთავრობის წინაშე და აეღო ქუთაისისთვის უფლება კანტრაქტის შეკვრისა. ასეთის თხოვნის მაგიერ ქალაქის გამგეობამ მხოლოდ აცნობებინა ბ-ნ გუბერნატორისთვის საბჭოს გარდაწყვეტილება ისე, როგორც აცნობებენ ხოლმე სხვა განაჩენებს მორიგ საქმეთა შესახებ, მაგალითად, თუნდა იმის შესახებ, რომ ქალაქმა თავის წლიურ ხარჯს მოუმატა 20 მანეთი, რომ ამ ფულით ორი ახალი ფარანი დასდგას თეთრ ხიდზედ, და სხვა ამისთანები.

რადგანაც ქუთაისის ადმინისტრაცია მოწადინებულია, რომ ჩვენი საგუბერნიო ქალაქი მალე დაადგეს წარმატების გზას და შეიქმნეს სამაზრო ქალაქების მაგალითად, ამიტომ გუბერნატორმა მოსთხოვა გამგეობას პასუხი, რატომ ამ საყურადღებო საგანზედ სათანადო თხოვნა არ წარმომიდგინეთ აქამომდე, რომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დამეწყოვო. ამასთანავე გუბერნატორმა დაანახვა საბჭოს, რომ ესა და ეს მუხლი ხელშეკრულობისა, კანონის ძალით, ასე და ასე უნდა დასწეროთ, თორემ მთავრობა არ შეიწყნარებს თქვენს თხოვნასაო.

ხოლო ვიდრე ამ მოხსენების გამო საბჭო დაადგენდა რაიმე განაჩენს, უნდა მოესმინა წინადადება უსახელო საზოგადოებისა, რომ შეედარებინა იგი ბ-ნ მიხაილოვის უკვე დამზადებულ ხელშეკრულობასთან. აღმოჩნდა, რომ ბ-ნ რომბს დიდად არ შეეტკიებინა თავი. აიღო ეს ხელშეკრულობა და პირდაპირ გადაეწერნა იგი თავით ბოლომდე მზა-მზარეული, თითქმის სამოცამდე მუხლი, რომელთა შედგენასა და შემუშავებაზედ მოწინაამდეგეს მოუნდებოდა ბეჯითი შრომა არა ნაკლებ ორისთვისა და ამდენივე მის შეწყნარებინებას ჯერ გამგეობაში და მერე საბჭოში. შეეცვალა მხოლოდ ორი მუხლი, რომლითაც იგი აპირებდა ამოდენა შრომის გაბათილებას. ერთ მუხლში იგი აღრიცხავდა იმ გადასახადს, რომელსაც ჰპირდებოდა ქალაქს კონცესსის მიწიჭების სასყიდლად; მეორე მუხლში აჩვენებდა ხარჯს, რომელიც ამ საქმის გამოსყიდვაზედ დასჭირდება ქუთაისს 20 წლის შემდეგ. პირველს მუხლში იგი აშკარად უჩვენებს, რომ ამ 20 წლის განმავლობაში მე მივცემ ქალაქს ათას ორასის თუმნით უფრო მომეტებულს, ვიდრე გაძლევთ ჩემი მოპირისპიროო; ხოლო მეორეში ამბობს, რომ გამოსყიდვის დროს მე უნდა მომცეთ წლიური შემოსავალი ხუთის პროცენტის კაპიტალიზაციითაო და მაშინ თქვენ დაგრჩებათ მთელი ეს საქმეო. აქ ბ-ნ რომბს ის კი დაჰვიწყებოდა ეჩვენებინა, რა განსხვავება, როდესაც კაპიტალიზაციას ანგარიშობენ ხუთის პროცენტიდგან-კი არა, ხუთ-ნახევრიდგან, როგორც ჰკისრულობს ბ-ნი მიხაილოვი. მიზეზს ამ უცნაურის გულ-მავიწყობისას შემდეგ მიჰხვდებით. ამასთანავე თავისს წინადადების თაბაუთიანობას ბ-ნი რომბი ასაბუთებდა 10,000 მანეთის სარგებლიან

---

იქმნას მთელის იმპერიის კანონმდებლობა, დაუბრუნდეს თითოეულს კანონს თვისი ძალა და წვრილ მოხელეებს აღარ შეეძლოთ ისე ატრიალონ საქმე, როგორც მოისურვებენ.

რადგანაც იმპერატორი და იმპერატრიცა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კანონმდებლობის განხილვა აუცილებლად საჭიროაო, სახელმწიფოს საბჭოს მიერ პროექტის განხილვას აღარ დაუცადეს და უბძანეს სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებსა და მდივნებს — გადაათვალიერეთ თქვენის დაწესებულების კანონმდებლობა და ამოშალეთ ყველა ის მუხლი, რომელიც ერთმანერთს ეწინააღმდეგება, რომ აღარავის შეეძლოს ამ წინააღმდეგობით ისარგებლოსო.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს განკარგულება სასარგებლო უნდა გამომდგარიყო, მაგრამ ვინ შეასრულებდა ამ განკარგულებას. უფროსებმა არაფერი იცოდნენ კანონმდებლობისა, როგორც მოგახსენეთ, და ამიტომ ეს საქმე უნდა დაევალებინათ ისევ იმ მცოდნე მოხელეებისათვის, რომლებიც ისევ თავიანთკენ გაიწევდნენ და ისე მოაგვარებდნენ საქმეს, რომ თითონაც არაფერი წაეგოთ. ამ გვარად კანონმდებლობას განსახილველად მაინც საჭიროა დაარსება იმ გვარ კომიტეტისა, რომელიც მოხსენებულია კან-იუ-ვეი-იუს პროექტში. ამ კომიტეტს შეუძლიან ისარგებლოს ეხლანდელის დინასტიისდაი-ცინ-გუი- დიანის- კანონმდებლობით, რომელიც გამოცემულ იქმნა 1818 წელს.

გარდა ამ ღონისძიებათა, ბოგდოხანი სცდილობდა ხელი შეეწყო იმ კერძო კაცთათვის, ვინც გამოსადეგი იქმნებოდა სახელმწიფოსი და ხალხისა. მაგალითად, ახალ სისტემის გემებისა, თოფებისა და ზარბაზნების გამომგონელს მიეცემა უფლება 50 წლის განმავლობაში პრივილეგია თავისის გამოგონებისა და გარდა ამისა ეღირსებიან უმაღლესს ჯილდოს. ვინც დასწერს კარგსა და სასარგებლო თხზულებას საპოლიტიკო მეცნიერების შესახებ, იმას ებოძება ხარისხი აკადემიის წევრისა ანუ დირექტორობა გიმნაზიისა. ვინც კარგს თხზულებას დასწერს რომელსამე მეცნიერების შესახებ, იმისაც ებოძება ხარისხი აკადემიის წევრისა ან პროფესორობა უნივერსიტეტში.

არა ნაკლები ჯილდო ეძლევა კაცს ქველმოქმედებისათვის. ვინც იმდენს ფულს შესწირავს, რომ 100 მოწაფესთვის სკოლის დაარსება იქმნება შესაძლებელი, იმას ებოძება საშვილიშვილოდ ხარისხი კეთილშობილობისა. ასეთივე ხარისხი ეძლევა იმასაც, ვინც მუზეუმს ანუ ბიბლიოთეკის დაარსებისათვის შესწირავს არა ნაკლებ 225,000 მანეთისა.

თუმცა ჩინელები არც თუ უნიჭო ხალხია, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ მათ შორის ვინმემ ახალი რამ გამოიგონოს ან მეცნიერება წინ წასწიოს, ხოლო ის-კი ეჭვს გარეშეა, რომ მდიდარ კაცთა შორის მრავალი აღმოჩნდება ისეთი, რომ ფულს არ დაიშურებს სკოლებისა, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკებისათვის, რა არის კეთილშობილობა მიბოძონ და წარჩინებულ კაცად ვითვლებოდეო. ესეც ხომ კარგი სიკეთეა.

ხოლო ყველაზედ დიდი ყურადღება მიაქცია ჩინეთის მთავრობამ სკოლებს. 1298 წელს ბძანება გამოვიდა, დაუყოვნებლივ დაარსდეს უნივერსიტეტი პეკინში და აგრეთვე საშუალო და დაბალი სასწავლებლები პროვინციებში, მთავრობას ამ ბძანებას მრავალი კერძო კაციც დაეხმარა. მაგალითად ხან-კოუდგან პეკინამდე რკინის გზის გამყვან საზოგადოების უფროსმა, სატელეგრაფო მმართველობისა და ჩინეთის სანავოსნო საზოგადოების თავმჯდომარემ შენ-სუან-ჰუაიმ ამ ორის დაწესებულების ხარჯითა და მთავრობის ნებართვით დააარსა შანჰაიში სკოლა, რომელსაც სახელად დაარქვა „სამხრეთ ჩინეთის საყოველთაო სკოლა!“..

ამ სკოლაში უმთავრესს საგნებად ითვლება ჩინეთის ისტორია, ჩინეთის ლიტერატურა და გარდა ამისა უცხოელ სახელმწიფოთა პოლიტიკა, იაპონიის კანონმდებლობა და ლიტერატურა. რაც შეეხება ტეხნოლოგიას, მეხანიკას, სამთა-მადნო საქმეს, ამ საგნების შესწავლა შეუძლიანთ იმ მოწაფეთ, რომელთაც უკვე შეისწავლეს მათემატიკა, ქიმია და ბუნების მეტყველება.

ამ სკოლაში ოთხი განყოფილებაა: საპედაგოგიკო, დასაწყისი სასწავლებელი, საშუალო და უმაღლესი საპედაგოგიკო განყოფილება. საპედაგოგიო განყოფილებაში უნდა იყოს 30 მოწაფე, დასაწყისსა, საშუალოსა და უმაღლესს სასწავლებელში უნდა იყოს თითოში 120 მოწაფე. თითოეულ სასწავლებელში. გარდა საპედაგოგიკო განყოფილებისა, ოთხი კლასია და თითო კლასში უნდა იყოს 30 მოწაფე. ამ გვარად ამ სკოლაში სწავლის დამთავრებისათვის საჭიროა სულ ცოტა 12 წელიწადი.

ამ სკოლასთან არის ცალკე განყოფილება წიგნების გადასათარგმნელად, სადაც საშუალო და უმაღლეს სასწავლებლის მოწაფენი უცხო ენებიდგან წიგნებსა სთარგმნიან.

სწავლა დამთავრებულთა შორის უკეთესნი მოწაფენი გაიგზავნებიან უცხოეთის უნივერსიტეტში.

გასულ წლის ივნისში, ბოგდოხანის ბძანებით, სახელმწიფო საბჭომ და გარეშე საქმეთა სამინისტრომ წარადგინეს წესდება პეკინის უნივერსიტეტისა.

ეს წესდება იმითაც არის შესანიშნავი, რომ სრულიად შეეფერება ჩინეთის ეხლანდელს ვითარებასა და საჭიროებას. ამ წესდების ძალით ერთის წლის შემდეგ ჩინეთში უნდა დაარსდეს 22 გიმნაზია და 1,800 დასაწყისი სკოლა. მართალია, ჩინეთისათვის, სადაც 200 მილიონი მცხოვრებია, ეს სკოლები საკმარისი არ არის, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ დედამიწის ზურგზედ არც ერთს სახელმწიფოს უეცრად არ დაუარსებია ამდენი სასწავლებელი; და თუ ის კაცები, რომელთაც დაევალათ ამ დიდის საქმის ასრულება, სინიდისიერად მოეკიდნენ თავიანთს მოვალეობას, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი მართლა გაიღვიძებს...

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქების თავდებობით, მაშინ როდესაც ბ-ნ მიხაილოვისთვის მოეთხოვნა საბჭოს მხოლოდ სამასი თუმანი ნაღდი ფული, რომელიც უსარგებლოდ უნდა ჰქონდეს ქალაქს კონცესიის გათავებამდე.

უსახელო საზოგადოების მომხრეებმა პირდაპირ გარდასწყვიტეს, რომ ეს წინადადება ბევრად უფრო სასარგებლოა ქალაქისთვის, ვიდრე უკვე მიღებული წინადადება ინჟენერ მიხაილოვისა, მხოლოდ ჩვენ გვაშინებს, ვაი თუ საზოგადოებამ ცხენის რკინის გზა გაგვიკეთოს და მერე ისეთი პროექტი წარადგინოს სამინისტროში ელექტრონის გზისა, რომ არ იქმნას დამტკიცებული, და მაშინ ქუთაისი თავისს დღეში ვეღარ დაეხწევა ცხენის რკინის გზას, როგორც ეხლა სამართლიანადა ჰშიშობს ტფილისი, თუ დაუმტკიცეს ახალი ხელშეკრულობა ამ საზოგადოებასთანაო. აი ამისი გვეშინიან, თორემ უცილობლად მივიღებდით მის წინადადებას და უარს ვიტყოდით 16 ნოემბრის გარდაწყვეტილებაზედაო. მაგრამ ეს შიში ბელგიის საზოგადოების მომხრეთა მყისვე გაიფანტა, რაკი გამგეობამ წაუკითხა მათ ის „დამატებითი წინადადება“, რომელიც შიკრიკმა მოართვა ქალაქის მოურავს სწორედ საქმის განხილვის დროს. ხერხმა გასჭრა. წერილის ეფექტი წარმოუდგენელი იყო. მომხრენი ხელებს იფშვნეტდნენ და სიამოვნებით ულოცავდნენ ერთმანერთს აშკარა გამარჯვებას.

ამის შემდეგ წამოდგა ხმოსანი დ. ა. ნაზაროვი და მიჰმართა საბჭოს შემდეგის სიტყვით: „მართალია, ჩვენ სიტყვა მივეცით ინჟენერს მიხაილოვს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ქალაქის წარმომადგენლები ვართ და პასუხისმგებელნი წინაშე ჩვენის შთამომავლობისა. რა პასუხი უნდა გავცეთ ამ შთამომავლობას, რომ უარი უთხრათ ბ-ნ რობის და შევუსრულოთ უკვე მიცემული სიტყვა ბ-ნ მიხაილოვს, რომელიც უფრო ნაკლებს აძლევს ქალაქს, ვიდრე პირველი. ჩვენ რომ საქმე გვქონდეს მასთან, როგორც კერძო კაცებს, რასაკვირველია, ზნეობა არ მოგვცემდა ნებას სიტყვის გატეხისას. მაგრამ ვითარცა ქალაქის წარმომადგენლებს ჩვენ სრული ზნეობრივი უფლება გვაქვს დავარღვიოთ ჩვენი განაჩენი და შევეკრათ პირობით ბ-ნ რობის. ხოლო ვიდრე ამას მოვიქმედებთ, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა შევეკითხნეთ ბ-ნ მიხაილოვს, თანახმაა იგი შეგვეკრას იმ პირობით, როგორსაც იძლევა უსახელო საზოგადოება, თუ არა. იქმნება ისიც დაგვეთანხმდეს ამ პირობაზედ, და მაშინ საბჭო მოვალეა უპირატესობა მისცეს ბ-ნ მიხაილოვს“.

ეს აზრი მთელს კრებას მოეწონა; მაგრამ შესაფერ განაჩენის დადგენამდე გამგეობის წევრმა ბ-ნმა ჩიმაკაძემ აუხსნა საბჭოს, რომ აჩქარებულია აზრი, ვითომც ბ-ნ რობის წინადადება რითიმე სჯობდეს მიხაილოვისასო. მართალია, ოცის წლის განმავლობაში იგი ათას-ორასის თუმნით მეტს გვაძლევსო, მაგრამ გამოსყიდვის დღეს იგი ამ ფულს ერთს სამად მეტს იბრუნებს უკან და თითქმის ოთხიათას თუმანს მეტს იღებს ჩვენგან, ვიდრე ბ-ნი მიხაილოვიო. აქ ყველა სმენად გარდაიქცა. ჯერ ეგონათ ხუმრობს გამგეობის წევრიო. მაგრამ როდესაც შეადარა ის შეჩვენებული კაპიტალიზაცია, რომელიც „გულმავიწყობით“ არ განემარტა ბ-ნ რობის, მაშინ ყველამ იგრძნო, რომ აქ მართლა რაღაც ხრიკი უნდა იმალებოდესო. კაპიტალიზაციის თაობაზედ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ მაინც ბეჯითად ვერ გამოარკვიეს, თუ რა საჭმელია ეს კაპიტალიზაცია.

ამის გამო საბჭომ გარდასწყვიტა — ამოვირჩიოთ კომისია და მივანდოთ, რომ 15 თებერვალს ციფრებით დაგვანახვოს, ვისი წინადადება უფრო სახარბიელოა ქალაქისთვის, და თანაც შეეკითხოს ბ ნ მიხაილოვს, თანახმაა იგი თუ არა მიიღოს პირობანი უსახელო საზოგადოებისაო. ხოლო როდესაც ინჟენერმა მიხაილოვმა მოითხოვა სიტყვა და მოახსენა საბჭოს — ოღონდ ნუ აჭიანურებთ საქმეს, დაადგინეთ მტკიცე განაჩენი, რომ თქვენს გარდაწყვეტილებაზედ უარს აღარ იტყვით, და მე დღესვე მოგცემთ პასუხს, თანახმა ვარ უსახელო საზოგადოების პირობაზედ თუ არაო, — მაშინ საბჭოს უმეტესობამ უარი განაცხადა ასეთის განაჩენის დადგენისა. იქმნება მართლა მაგისი წინადადება სჯობდეს საზოგადოებისასო და რად დავადგინოთ მაგეთი განაჩენი, ისევ უპრიანია ორშაბათამდე გადავდოთ ჩვენი უკანასკნელი გარდაწყვეტილებაო. მაშინვე ამოირჩიეს კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა შეადაროს ორივე წინადადება და წარუდგინოს თავისი აზრი 15 თებერვლის საბჭოს კრებას.

ვნახოთ, ორშაბათს რითი გათავდება ეს საყურადღებო საქმე. მხოლოდ, ჩვენის აზრით, ურიგოდ არ მოიქცეოდა ქალაქის მოურავი, როგორც ჭკვიანი და მცოდნე კაცი, რომ აეხსნა საბჭოსთვის:

1. რას იზამდა ქალაქის თვითმართველობა, რომ მიხაილოვს უარი ეთქვა ხელშეკრულობაზედ და უფრო უკეთესის პირობებით შეჰკვროდა იგი, ვთქვათ ქალაქ ბათუმს მაშინ, როდესაც ჯერ სხვა კონცესსიონერი არ გამოჩენილიყო? დაუბრუნებდა ამ შემთხვევაში მიხაილოვს სამიათას მანეთს, სათავდებოდ შეტანილს, თუ ამ ფულს ქუთაისი თავის სასარგებლოდ დაინარჩუნებდა, ხოლო კონცესსიონერს ეტყოდა — სიტყვის გატეხისათვის მაგ ფულს აღარ გაძლევთ და, თუ გსურს, წადი, სასამართლოს მიჰმართეო?

2. სავალდებულოა თუ არა ქალაქის საბჭოსთვის თავისივე გარდაწყვეტილება, მეტადრე მაშინ, როდესაც იგი გარდაწყვეტილება ჯიბეზედა სცემს გარეშე პირს, კონცესსიონერს, რომელსაც ფულიან კაცებთანა და ფირმებთან დაუმსახურებია ნდობა და მიუღია მათგან მრავალი პასუხის საგები მოვალეობა? როდესაც საბჭო პატივით არ ეპყრობა თავის მიერ მიცემულ სიტყვას და არღვევს თავისსავე განაჩენს, რა პატივით-ღა უნდა მოეპყროს მისს გარდაწყვეტილებას ყოველი მოქალაქე და ყოველი გარეშე კაცი? რა უფრო მაღლა უნდა იდგეს — თავმოყვარეობა კერძო კაცისა, თუ თავმოყვარეობა მთელის კრებულისა, ანუ, მთელის ქალაქისა? როდის უფრო ძნელად გასცემს პასუხს შთამომავლობას ხმოსანი — მაშინ, როდესაც იგი გასტეხავს თვითმართველობის სიტყვას, რომ ამით შესძინოს ქალაქის კასსას რამდენიმე ოქრო? თუ მაშინ, როდესაც იგი მოწიწებით მოეპყრობა საბჭოს განაჩენს და თვით ქონებრივს ზარალსაც-კი არ შეუშინდება, ოღონდ ამით მოუპოვოს შესაფერი სახელი და ნდობა ქალაქის თვით-მართველობის სიტყვას? რა უფრო ბევრს შეჰმატებს ქალაქის ქონებრივს შეძლებას — სიტყვის გატეხით მოპოებული რამდენიმე ოქრო, თუ სახელი საბჭოს ზნეობრივის სიმტკიცისა და ნდობა მისის გარდაწყვეტილების მიმართ? რა უფრო საზარალოა ქალაქის ჯიბისთვის — დაკარგვა რამდენისამე ოქროსი, თუ სახელისა და ნდობისა?

3. აპირობს კიდევ სხვა საქმეების დაწყებას ქუთაისის საბჭო ქალაქის წარმატებისთვის და ამისთვის მაინც დასჭირდება სახელი და ნდობა, თუ აღარას აპირობს და ამიტომ შეუძლიან გულ-გრილად მოეპყრას სახელსაცა და ნდობასაც?

დამსწრე

## ტფილისის საეკკლესიო სიძველეთ საცავი

(სხდომა 12 იანვარს, 1899 წ.)

ამ წლის 12 იანვარს სხდომა ჰქონდა ტფილისის საეკკლესიო სიძველეთ საცავის კომიტეტს ალავერდის ეპისკოპოსის უოკლად სამღვდელო კირიონის თავმჯდომარეობით. უოკლად სამღვდელო კირიონი დანიშნულ იქმნა სიძველეთ-საცავის კომიტეტის თავმჯდომარედ მაღალ-უოკლად უსამღვდელოეს ფლაბიანეს მიერ წარსულის წლის ღვინობისთვეში გორის ეპისკოპოსის უოკლად სამღვდელო ლეონიდის მაგივრად, რომელმაც ამ თანამდებობაზედ უარი განაცხადა. ამ სხდომაზედ უოკლად სამღვდელო კირიონმა კომიტეტს წინადადება მისცა აღერჩიათ ახალი წევრები იმ აზრით, რომ სიძველეთ-საცავს ჰყავდეს საქართველოს ყოველ კუთხეში თავისი წარმომადგენელი და თანამგრძნობი. დღემდის კომიტეტს, რომელიც დაარსებულ იქმნა 1897 წლის პირველ მარტს, შეადგენდნენ: თავმჯდომარე კომიტეტისა უოკლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა, წევრები: უოკლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, მღვდლები კ. ცინცაძე, მ. ტყემალაძე, ა. თოთიბაძე და კ. კარბელაშვილი, სასულიერო სემინარიის მასწავლებლები მახათაძე და ფერაძე, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები ა. ნატროშვილი, ა. გელიშვილი და მოსე ჯანაშვილი, სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ე. თაყაიშვილი, ამავე სკოლის მასწავლებლები ა. ქუთათელაძე და ნ. მთვარელიშვილი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი და განსვენებული ა. ს. რონაშვილი. 10 აპრილს, 1898 წელს, კომიტეტის წევრი ბ-ნი ჯანაშვილი დანიშნულ იქმნა სიძველეთ საცავის გამგედ. უოკლად სამღვდელო კირიონის წინადადებისამებრ, კომიტეტის ახალ წევრებად არჩეულ იქმნენ ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დოსითეოსი, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ე. ბ. მამაცაშვილი, სიძველეთ-საცავის გამგედ ნამყოფი ბ-ნი თ. დ. ჟორდანია, იმერეთის საეპარქიო მეთვალყურე მღვდ. მ. კელენჯერიძე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მ. ი. ნოღაიძე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი სანებლიძე, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, ბ-ნნი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი კ. პარნოვი, ბ-ნნი ალ. ყიფშიძე და გრ. ყიფშიძე.

ამავე სხდომაზედ მიქცეულ იქმნა ყურადღება სიძველეთ-საცავის გამგის ბ ნ ჯანაშვილის მრავალ ნაყოფიერს მოღვაწეობაზე. ბ-ნმა ჯანაშვილმა დიდი ამაგი დასდო სიძველეთ-საცავს: მან შეადგინა რუსულ ენაზედ მოკლე ისტორია სიძველეთ-საცავისა, დაჰბეჭდა რუსულსა და ქართულს ენაზედ მოკლე ნუსხა იქ დაცულ საგნებისა, აღნუსხა გუჯრები, მოკლე შენიშვნებს სხვა-და სხვა ქართულ ხელთნაწერების შესახებ ჰბეჭდავდა გაზეთს „ივერიაში“, ამავე ხელთნაწერების საშუალებით მანვე შეადგინა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ რუსულს ენაზედ... ასეთის სასარგებლო მოღვაწეობისათვის კომიტეტმა დაადგინა ბ ნ ჯანაშვილის ღვაწლს სასულიერო მთავრობის ყურადღება მიექცეს.

ამავე სხდომაზედ უოკლად სამღვდელო კირიონის წინადადებითვე კომიტეტმა დაადგინა: გამოეცხადოს წევრთა წრფელი მადლობა კომიტეტის თავმჯდომარედ ნამყოფს უოკლად სამღვდელო ლეონიდს, რომლის ხელში სიძველეთ-საცავის საქმე შესამჩნევად წინ წავიდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. კომიტეტმა დაადგინა, ეთხოვოს უოკლად სამღვდელო ლეონიდს, გორის ეპისკოპოსს, მიიღოს წოდება სიძველეთ-საცავის საპატიო წევრისა.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

მომავალ წელს შესრულდება 175 წელი მას შემდეგ, რაც რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემია იქმნა დაარსებული.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მიწად-მოქმედების სამინისტრომ შეიწყნარა შუამდგომლობა მთა-მადნების მწარმოებელთა კრებისა იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული გადასახადი დაადონ ქვა-ნახშირს ეკატერინოსლავში განზრახულ უმაღლესს სასწავლებლის სასარგებლოდ. ეს გარდასახადი ოთხ წელიწადში 100,000 მანეთს შეადგენს.

— ქ. ბრიანსკში აარსებენ საშუალო სამექანიკო და სატეხნიკო სასწავლებელს. სასწავლებელთან სახელოსნო სკოლაც იქმნება.

— როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მოახდინონ სრულიად რუსეთის იმ მკურნალთა კრება, რომელნიც ქარხნებსა და ფაბრიკებში მსახურებენ.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს დაუდგენია, როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, დაარსოს იმ ადგილებში, სადაც შინა-მრეწველობას მისდევენ, განსაკუთრებული სამხატვრო სკოლები.

— სახელმწიფო ხაზინა, 1899 წლიდგან დაწყებული, ყოველ წელიწადს გადასდებს 19 ათას მანეთს იმ განსაკუთრებულ ინსპექციის შესანახად, რომელსაც სამრეწველო სკოლები ექმნება ჩაბარებული.

— „Рус. Вѣд.“-ს სიტყვით, მთავრობა შეუდგა შემუშავებას ახალის პროექტისას, რომლის ძალითაც სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ ნება მიეცემად დააარსონ ხოლმე დაბალი სასოფლო სამეურნეო სკოლები.

— როგორც უკვე ვუწყით, წელს პეტერბურგში გაიმართება სრულიად რუსეთის მერძეობის გამოფენა. გამოფენა დაიწყება პირველ სექტემბერს და გასტანს ერთს თვეს.

## უცხოეთი

**საბერძნეთი.** როგორც ათინიდგან იუწყებიან, მეფეს დაუმტკიცებია პროექტი საბერძნეთის მხედრობაში ცვლილებათა შემოღების შესახებ. პროექტი შემდეგს უმთავრესს საგნებს შეიცავს: უნდა დაარსდეს მთავარი შტაბი გერმანიის შტაბის მსგავსად; უნდა გამართოს საინტენდანტო დაწესებულება თავისის განყოფილებებით, რომელთა უქონლობამ დიდი ზარალი მისცა საბერძნეთს წარსულ ომიანობის დროს; შემოღებულ უნდა იქმნას სამხედრო ინსპექცია, რომელიც ჩაჰბარდება უცხო ქვეყნელ აფიცრებს, და უნდა დაარსდეს ორი სამხედრო სასწავლებელი, რომელთა ხელმძღვანელებადაც უცხოელები იქმნებიან. საყოველთაოდ სამხედრო სამსახურის შესრულებას დიდს ყურადღებას მიაქცევს მთავრობა, და ქვეითა ჯარის ახალს წესსა და რიგზე შეიარაღება ჩქარა მოხდება. ამბობენ, რომ ჯარების ინსპექტორად მთავრობა მოიწვევს ავსტრი-უნგრეთის აფიცრებსაო.

**საფრანგეთი და იტალია.** სავაჭრო ხელშეკრულობის დადებით, როგორც სჩანს, საფრანგეთის მთავრობაც მადლიერია და იტალიისაც. გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ გარდასცა იტალიის ელჩს პარიჟში ტორნიელს საპატიო ლეგიონის ორდენი პირველ ხარისხისა. აგრეთვე საფრანგეთის ელჩს გაუგზავნა რომში ორი ასეთივე ორდენი მინისტრ-პრეზიდენტის პელუს და ბ-ნ ლუცატისათვის გარდასაცემად. თავისს მხრივ იტალიის მთავრობამაც დააჯილდოვა ორდენებით საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტი დიუპუი, გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე, საფრანგეთის ელჩი რომში ბარერი და სხვები, ვინც-კი მხარს აძლევდა ხელშეკრულობის საქმეს.

**ესპანია.** დონ-კარლოსმა აღუკრძალა თავისს მომხრეებს პარლამენტის კრებებზედ მონაწილეობის მიღება. ამ გარემოებამ ძლიერ გააკვირვა და შეაშფოთა მთავრობა, მით უმეტეს, რომ მან ეჭვი აიღო — ვაი თუ რესპუბლიკელ დასის წევრებიც არ მოჰყვნენ კრებებზედაო. ამისათვის მთავრობას ღონისძიება უხმარია, რათა სალმერონს, ასკარატეს და დანარჩენ წინამძღოლებს დაერწმუნებინათ ზომიერი რესპუბლიკელები, რომ საჭიროა კორტესების კრებებზედ დასწრება და მონაწილეობის მიღება კამათობაში ამერიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულობის შესახებ. მთავრობის წინადადება, როგორც დეპეშებიდგან სჩანს, შეუსრულებიათ ხსენებულ დასის წინამძღოლთ.

მთავრობა აცხადებს, რომ დონ კარლოსის მანიფესტი გულგრილად მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდა ხალხი და ამიტომ ტახტის მამაებლის შიში სრულებით არ არისო. თუ ვინიცობაა, არეულობა მოხდა, მთავრობის მიერ უკვე მიღებული საჭირო ღონისძიებანი იმის მოსასპობლადაო.

—

**იტალია.** პელუს სამინისტროს წინაალმდეგ კარგა ხანია გაისმოდა ლაპარაკი იტალიის სენატში და ეს ლაპარაკი ეხლა საქმეთ იქცა. სენატმა არ შეიწყნარა სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი სასოფლო მეურნეობის კრედიტის შესახებ. რაღა თქმა უნდა, ეს პირდაპირ უნდობლობის გამოცხადებაა ფორტისისათვის, რომელმაც შეიმუშავა ეს პროექტი. სენატის ასეთი საქციელი გამაფრთხილებელია პელუს სამინისტროსათვის. სენატში ახალი დასი შემდგარა, რომელსაც აზრადა აქვს პელუს სამინისტრო დასცეს; ამ სამინისტროს, ხსენებულ დასის აზრით, გარკვეული პროგრამა არა აქვს სამოქმედოდ.

## სასამართლოს მატიანე

მევახშეთა ვ. ნ. პოლონსკისა და ნ. დ. გვარამაძის საქმე.

(დასასრული, იხ. „ივერია" № 32).

სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ქ-ნი პოლონსკისა მოწმეებს ათას რასმეს ჰკითხავს, ეუბნება, მე ჩემი ფული არ მომეცათ და თქვენ კი სახლები აიშენეთო. განსაკუთრებით მაშინ ძლიერა ჯავრობს, როდესაც მოწმეები ამტკიცებენ, ქ-ნმა პოლონსკიმ გაგვაღარიბაო. მეორე ბრალდებული არავითარ მონაწილეობას არ იღებს საქმის გარჩევის დროს და ამბობს, მე მხოლოდ „მდივნად" ვიყავი ქ-ნ პოლონსკისთან, იმის ბრძანებას ვასრულებდი და სულაც არ მიფიქრია იმაზედ, როგორ იქცეოდა. ჩემი ფული არ მიმიცია, ვწერდი თამასუქებს, ვაწარმოებდი ანგარიშს და საქმეში სრულებით არ ვერეოდიო. ქ-ნ პოლონსკიმ სთქვა, მართალია, 1892 წლამდე, ვიდრე ახალი კანონი გამოცხადდებოდა მევახშეთა შესახებ, სარგებლით ფულს ვაძლევდი და ვიღებდი წელიწადში 12%-ს, მაგრამ მას აქეთ ფული აღარავისთვის მისესხებია და მხოლოდ ანგარიშები უნდა გამესწორებინაო.

მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა, რომ ქ-ნი პოლონსკი სარგებლობდა გაჭირვებულთა მდგომარეობით და 1896 წლამდე ართმევდა წელიწადში 30—36%. გვარამაძეს-კი მოლაპარაკება ჰქონდა ხოლმე ფულის მსესხებლებთან, სწერდა თამასუქებს, აწარმოებდა ანგარიშს და საზოგადოდ მუდამ პოლონსკისთან იყო.

სასამართლომ მოისმინა სიტყვა ბრალმდებლისა, რომელიც სთხოვდა ბრალდებულნი დამნაშავეებად იქმნან აღიარებულნი და სატუსაღოდ გაგზავნილნი ასტრახანის გუბერნიაშიო.

## დამკვირდი

ჭადარა სიყვარულს და სურვილს ვერა ჰკლავს.

აკაკი

* * *

ტვირთით კეთილთა საუნჯეთა მიიცვალე ამიერ სოფლით.

ნინოწმ. იოსებ ვაჩნაძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის მექანდაკემ ფრემიემ უკვე დაამთავრა ძეგლი ფერდინანდ ლესეფსისა. ამ ძეგლს დასდგამენ სუეზის არხის შესავალთან. თვით ძეგლი ექვსის ადლის სიმაღლეა. დადგმული იქმნება ათის ადლის სიმაღლის ბურჯზე. ამ ძეგლს მეოცე საუკუნის დასაწყისში აკურთხებენ.

* * *

სესილ როდსმა, რომელიც ამ ჟამად ინგლისში იმყოფება, შემდეგი ცნობები მისცა ინგლისის ერთის გაზეთის კორესპონდენტს შესახებ იმ რკინის გზისა, რომელიც უნდა გაიმართოს კაპშტატსა და ქაირს შუა.

ამ გზის გაყვანა დაჯდება 250 მილიონ ფრანკად.

— ბელგიელების ადგილებზე გაივლის რკინის გზა, თუ გერმანელების ადგილებზეო?—ჰკითხა კორესპონდენტმა.

— ამას ჯერ ვერ მოგახსენებთო,—უპასუხა როდსმა.

— შიში ხომ არ არის, რომ რომელიმე სახელმწიფო პოლიტიკურ მოსაზრებისა გამო ხელს შეუშლის ამ რკინის გზის გაკეთებას?

— სრულებითაც არა! ან რის შიში უნდა იყოს. ეს გზა ხომ საკომერციო საქმეა, კერძო. ვის ადგილებზედაც უნდა გაიაროს ამ გზამ, ბელგიელებისა, თუ გერმანელებისაზედ, იმ სახელმწიფოს წეს-წყობილებას უნდა დაემორჩილოს, რომლის ადგილებზედაც იქმნება გაყვანილი. გარდა ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ ეს გზა დიდს სარგებლობას მოუტანს იმ სახელმწიფოს, რომლის ადგილებზედაც იქმნება გაყვანილი.

— რამდენ ხანს იქმნება შესაძლებელი ალექსანდრიიდგან კაპშტატში მისვლა?

— ათ დღეს, ხოლო ისიც შესაძლებელია, ისე მოვაწყოთ მატარებლების მიმოსვლა, რომ ხუთ დღეს მივიდეს კაცი, ხოლო პირველად ასეთი სიჩქარე საჭირო არ იქმნება.

# დეპეშა

11 თებერვალი

**პეტერბურგი.** 11 თებერვალს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლად. წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი, დიდნი მთავრინანი, სადიპლომატიო კორპუსი ელჩნი, დესპანნი და პეტერბურგში მყოფი ფრანგები.

**მოსკოვი.** დღეს ფრანგების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა განსვენებულის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: გენერლობა, ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, წარმომადგენელნი წოდებათა და უცხოელნი ელჩნი.

**პარიჟი.** დღეს დილით, თავადმა ურუსოვმა, რუსეთის სახელმწიფოს სურვილისამებრ, პრეზიდენტის ფორის კუბო შეამკო მშვენიერის გვირგვინით. გვირგვინს აწერია: „სრულიად რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცისაგან".

**ვენა.** ყველა გაზეთები იუწყებიან, რომ ახალი კაბინეტი მხოლოდ ლიბერალებისაგან შესდგება.

ხმა დადის, რომ იუსტიციის მინისტრად იქმნება პლოსსი, შინაგან საქმეთა—სელლი ან ბესცევიჩი, დანარჩენები უწინდელნი იქმნებიან.

**პარიჟი.** დილიდგან დიდძალი ხალხია ქუჩებზე ელისეს სასახლიდგან დაწყობილი „Notr Dame მდე. ხალხი მშვიდობიანად არის. ეტყობა, რომ წესიერება იქმნება დაცული. დილის 9 საათამდე მთელს გზაზე ჯარი იდგა. ხალხი ჯარის იქით. „პატრიოტთა ლიგამ" ადგილი დაიჭირა „თანხმობის" მოედანზე. აქაც მშვიდობიანობაა. მთავრობის წარმომადგენელნი ელისეს სასახლეში მიდიან. საკასაციო პალატის წინ მანიფესტაციები არა ყოფილა 9 საათსა და 50 წუთზედ მოვიდა ელისეს სასახლესთან გენერალი ცურლინდენი თავისის შტაბით და ჯარს სალამი მისცა. 9 საათსა და 55 წუთზე მოვიდა დეპუტატთა პალატა, 10 საათზე მობძანდა ლუბე. ხალხი პატივისცემით მიეგება, დაუკრა მუსიკამ. ლუბე შევიდა ელისეს სასახლეში და შემდეგ წამოვიდა პროცესია.

**პარიჟი.** დასაფლავების დროს წარმოსთქვეს სიტყვები: ფრანკ-შოვმა, რომელმაც აღწერა ფორის ცხოვრება, მოიხსენია პირუთვნელობა იმისი შინაგან პოლიტიკაში, აღნიშნა მისი მოქმედების მნიშვნელობა რუსეთისა და საფრანგეთის შორის კავშირის საქმეში, მოიგონა რუსეთის იმპერატორის მობძანება საფრანგეთში და ფორის მოგზაურობა რუსეთში და სთქვა: „ამ ამბების გამო ფორის სახელი საუკუნოდ დარჩება საფრანგეთში". დეშანელმა მოიხსენია კეთილი გული ფორისა და იმისი კაცთმოყვარე ქცევა, აღნიშნა ის შედეგი, რომელიც მოჰყვა საფრანგეთ-რუსეთის კავშირს: „ფორის პატიოსნება იმაში იყო, რომ გულით დემოკრატი დარჩა". დიუპუიმ მოიხსენია ის აღელვება, რომელიც გამოიწვია ფორის სიკვდილმა, თანაგრძნობა მთელის ქვეყნისა, მადლობა განუცხადა ყველა ხელმწიფეთ, რომელთაც ფორის დაკრძალვაზე დასასწრებლად გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელნი, სთქვა, რომ საფრანგეთი არ დაივიწყებს ფორის სახელს და ბოლოს დასძინა: „მშვიდობით, რესპუბლიკისა და მამულის ერთგულო მსახურო! შენ ხალხს უყვარდი და არ დაგივიწყებს". ლოკრუამ აღნიშნა, რომ ფორს განსაკუთრებით უყვარდა ფლოტი და ჯარი, რა გულმოდგინეთ ეპყრობოდა სოციალურ საქმეებს და ბოლოს მიჰმართა განსვენებულის გვამს და გამოემშვიდობა. ბევრმა კიდევ სხვამ წარმოსთქვა სიტყვა და აქებდნენ ფორს, ვითარცა ადამიანსა და საზოგადო მოღვაწეს.

**პარიჟი.** პროცესია მივიდა Notr Dame მდე ისე, რომ არავითარი ამბავი არ მომხდარა. საკასაციო პალატის წინ გაისმა ხმები „გაუმარჯოს ჯარს". სხვა ხმები არა ყოფილა. ამფიონის ფოჩები ეჭირათ: დელკასეს, —ლოკრუას, ფრეისინეს, ვიეეს, კრანცს, გილენს, პეიტრალს. 16 კაპიტანს მიჰქონდათ განსვენებულის ორდენები. ამათ მისდევდნენ: განსვენებულის ოჯახის წევრნი, ლუბე,—ქუდმოხდილი, ფრანკ-შოვო, დიუპუი, დეშანელი, ლებრე; შემდეგ სამხედრო ამალა, უცხოეთის ელჩნი, სენატორნი, დეპუტატნი და სხვანი. როდესაც რუსეთის ელჩებმა გაიარეს ელისეს მინდვრებთან, ხალხმა დაიძახა: „გაუმარჯოს რუსეთს!" ტაძარში სწირა კარდინალმა რიშარმა. ტაძრიდგან პროცესია წამოვიდა 12 საათსა და 50 წუთზე. არავითარი უწესოება არ მომხდარა. გვამი მიასვენეს „Pére-Lacdaise"-ის სასაფლაომდე.

**პეტერბურგი.** სევასტოპოლიდგან, ხარკოვიდგან, ლოძიდგან და კრონშტატიდგან იუწყებიან, რომ ყველა ამ ადგილებში გარდახდილ იქმნა წირვა განსვენებულის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლადაო.

12 თებერვალი

**პარიჟი.** როდესაც კუბოს წინაშე ჯარმა გაიარა, დელეგაციები და კორტეჟის წევრნი დაიშალნენ. სასაფლაოზედ იყვნენ მხოლოდ განსვენებულის ოჯახის წევრნი, მინისტრები და მეგობარნი. კუბო საგვარეულო ტაგრუკში ჩაასვენეს.

**ვაშინგტონი.** მანილიაში ღამე დიდი მღელვარება ყოფილა, რამდენსამე ალაგას ცეცხლი წაუკიდეს. ჯარს, წესიერების ჩამომგდებნი, ფანჯრებიდგან თოფებს ესროდნენ და რამდენიმე ჯარის კაცი დასჭრეს. დილით ფილიპს კუნძულელებმა შეწუხება დაუწყეს ამერიკელებს. დიდი შეტაკება მოხდა.

**პარიჟი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო დღეს რუსეთის სამხედრო მისსია, რომელსაც ჰმეთაურობდა, რუსეთიდგან ფორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად ჩამოსული მის უდიდებულესობათა სახელით, გენერალი ბალდერინგენი.

**პარიჟი.** „პატრიოტთა ლიგის" („მამულიშვილთა საზოგადოების") 50 წევრი შეიკრიბა ბასტილიის მოედანზედ, რომ რომელსამე ადგილას შეერთებოდნენ პროცესიით მიმავალთ. პოლიციამ განფანტა ამ მოედნიდგან. მაშინ ისინი ნაციონალურ მოედანზედ შეიკრიბნენ, მაგრამ არც აქ დააყენა პოლიციამ, იმათ გარდასწყვიტეს ჯგუფ ჯგუფად წასულიყვნენ ნაციონალურ მოედანზედ, რომ შემდეგ ფორის კუბოზედ გვირგვინის დასადებათ მოეყარათ თავი.

**პარიჟი.** როდესაც პროცესია ტურბიგოს ქუჩას უახლოვდებოდა, ხალხი ყვიროდა: „გაუმარჯოს ლუბესაო!" რეომიურის ქუჩაზედაც გაისმა ასეთის მიგებების ხმა. ლუბე, რათა ეს ძახილი არ გამოეწვია, თავს არ უკრავდა „გაუმარჯოს ლუბესაო!" მაშინაც გაისმოდა, როდესაც სასაფლაოდგან ბრუნდებოდნენ. ლუბეს შემდეგ წავიდნენ სადიპლომატიო კორპუსის წევრნი და უცხოეთის სახელმწიფოების მისსიის აფიცრები. გენერალს ცურლინდენსა და იმისს შტაბს შესძახეს: „ჯარს გაუმარჯოს!".

**პარიჟი.** ლუბე საღამოს 5 საათსა და 20 წუთ. დაბრუნდა ლიუდებურგის სასახლეში და გზაზე სულ ყველგან დიდძალი ხალხი სიხარულით ეგებებოდა. საწინააღმდეგო არა თქმულა-რა.

**ბერლინი.** რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა მიცვალებულის წირვა განსვენებულის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლად. წირვას დაესწრნენ; იმპერატორი, ყველა პრინცები და დიდძალნი წარჩინებულნი.

**პარიჟი.** საღამოს 6 საათზედ ქუჩები სასაფლაოდგან მომავალ ხალხით აივსო. მემანიფესტაციენი ჰყვიროდნენ „Libre Parole"-ს რედაქციის წინ: „გაუმარჯოს ლუბესაო!", მაშინ როდესაც რედაქციის ბალკონიდგან სხვა-და სხვა გვარი ძახილი გაისმოდა.

საღამოს $6\frac{1}{2}$ საათზედ ამავე გაზეთის რედაქციის წინ ჩხუბი მოხდა. რამდენიმე კაცი დაპატიმრეს. დაიჭირეს დეპუტატი მილვუაც, რომელსაც უნდოდა არ დაეპატიმრებინებინა თავისი ერთი მეგობართაგანი. პოლიციის ერთი მოხელეთაგანი შპაგით არის ბარძაყში დაჭრილი.

**პარიჟი.** ერთი რაზმთაგანი რომ დაბრუნდა ყაზარმებისაკენ დასაფლავების შემდეგ, რამდენსამე მემანიფესტაციეს ყაზარმებში შესვლა უნდოდა ჯარის კაცებთან ერთად მაგრამ შესვლა დერულედის მეტმა ვერავინ მოახერხა.

იმ რაზმს, რომელსაც შეჰყვნენ ყაზარმაში დერულედი და გაბერი, ჰმეთაურობდა გენერალი როჟე. პოლიციამ განუცხადა, რომ თქვენ დაპატიმრებულნი არა ხართ და შეგიძლიანთ გახვიდეთ, თუ მოისურვებთო.

საღამოს, $9\frac{1}{2}$ საათზედ „Libre Parole"-ს რედაქციის წინ მანიფესტაცია მოახდინეს: ლანძღვა გინება ისმოდა დრიუმონის წინააღმდეგ და ვივატის ხმა ლუბეს პატივსაცემლად. პოლიციამ იერიში მიიტანა, და რამდენიმე კაცი დააპატიმრა.

საღამოს 8 საათზედ მშვიდობიანობა დამყარდა. მილვუა კვლავ დაპატიმრებულია, ვიდრე საქმეს გამოიძიებდნენ.

დერულედი და გაბერი ყაზარმაში დარჩნენ და ამისი მიზეზი არავინ იცის. „Sior"-ი ამბობს, რომ დერულედი დაპატიმრებულიაო.

დღეს საღამოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჩვეულების თანახმად სადილი გაუმართა საგანგებო მისსიათ, რომელნიც ფორის დასაფლავებას დაესწრნენ. სადილს დაესწრნენ მხოლოდ პალატის პრეზიდენტები, მართებლობის წევრნი, სადიპლომატიო კორპუსი და საგანგებო მისსიათა წევრნი. პაპის ნუნცი, როგორც უფროსი წევრი სადიპლომატიო კორპუსისა, ლუბეს პირდაპირ იჯდა გრაფი ვოლკენშტეინი—იმის მარჯვნივ, გრაფი ტორნიელლი—მარცხნივ.

10 საათზედ ანტისემიტთა მანიფესტაცია მოახდინეს. გაისმოდა ძახილი: „პანამა!"-ო. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულია.

11 საათსა და 30 წუთ. პუასონიერის ბულვარზედ რამდენიმე ჩხუბი მოხდა. პოლიციამ განფანტა ხალხი და რამდენიმე კაცი დააპატიმრა. პრეფექტის ბრძანებით, მილვუა ნაშუაღამევს პირველს საათზედ განათავისუფლებენ.

მთელის საღამოს განმავლობაში 180 კაცი დააპატიმრეს. მშვიდობიანობა ქუჩებში დამყარებულია. „ჰავასის სააგენტოს" უწყებაში ნათქვამია, რომ სენის დეპარტამენტის დეპუტატი მილვუა დაპატიმრებულ იქმნა მონმარტრის ბულვარზედ, რადგან პოლიციის განკარგულება არ შეასრულა, ხალხი უნდა შეეყარა და აეჯანყებინაო. დეპუტატნი დერულედი და გაბერი, მემანიფესტაციებთან ერთად, ნეილიის ყაზარმებში შევიდნენ და აღარ გავიდნენ იქიდგანაო, მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს უბრძანა დაეპატიმრებინათ ეს დეპუტატები მილვუა, დერულედი და გაბერი საპატიმროთა დეპოში იქმნენ წაყვანილნი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Февраля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე